ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4452138

ნომერი: AR1667776

თარიღი : 13.03.2019

გაცემის თარიღი : 10.04.2019

გაცნობის თარიღი : 10.04.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი წავკისი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეა გადრანი პ/ნ 01009007858
- ნუცუბიძის ქ. კორ 4 ბ.16

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საცხოვრებელი ობიექტები
  - ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100, 102-ე მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

“დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცდა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რომელიც რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ტერიტორიულ-სტრუქტურულ პირობებს, საინჟინრო, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს.

გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის 72-ე მუხლის თანახმად, დადგენილების დანართი 1.11-ით (შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა) განსაზღვრული ტერიტორიები უნდა განვითარდეს ამ მუხლში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სოფელი წავკისის მიმდებარედ დანართი 1.11-ით განსაზღვრულ არეალზე „B“ სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია განაშენიანების რეგულირების გეგმებით.

ვინაიდან, ქ. თბილისში, სოფელი წავკისი (ს/კ: N 81.02.21.679) მდებარეობს დანართი 1.11-ით განსაზღვრულ „ B “ არეალში, მისი სამშენებლოდ განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ტერიტორიაზე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებამდე, სამსახურის მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს 13/03/2019 წლის AR1667776 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.